თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო

მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N1

ქ. თეთრიწყარო 11 ნოემბერი, 2015 წელი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 86[1]-ე მუხლის თანახმად ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 ნოემბრის N994 ბრძანებით შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.

2015 წლის 11 ნოემბერს გაიმართა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საბჭოს ყველა წევრი:

1. ქართლოს ძელური.
2. ზვიადი სუხიტაშვილი.
3. გულნარა შოშიტაშვილი.
4. გალინა ოქროპირიძე.
5. მალხაზ სამაშვილი.
6. სარქის გევორქიანი.
7. ია დალაქიშვილი.
8. ირინა კორშუნოვი.
9. ქეთევან ბახუტაშვილი.
10. ზვიად მგელაძე.

სხდომა დაიწყო: 15:00 სთ.

დღის წესრიგი:

1) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების გაცნობა;
2) საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;
3) სხდომის მდივნის არჩევა;
4) 2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება) ინფორმაცია, რომელიც წარმოადგინა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა.

დაადგინეს: მოწონებულ იქნეს გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული დებულება და მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს ზვიად მგელაძემ და გულნარა შოშიტაშვილმა.

დაადგინა: თავმჯდომარედ ღია კენჭისყრით ერთხმად არჩეული იქნა ზვიად მგელაძე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი საბჭოს სხდომის მდივნის არჩევასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: საბჭოს სხდომის მდივნად არჩეული იქნა ქეთევან ბახუტაშვილი.

მოისმინეს: დღის წესრიგის ბოლო საკითხი (2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა), რომელიც წევრებს გააცნო გამგებელმა და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრების მიერ განხილული იქნა ბიუჯეტის პროექტი, დაიმსახურა მოწონება და საბჭოს ყველა წევრმა განაცხადა თანხმობა და გასცა რეკომენდაცია, რათა 2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით წარედგინოს საკრებულოს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე	ზვიად მგელაძე
საბჭოს სხდომის მდივანი	ქეთევან ბახუტაშვილი
საბჭოს წევრი	ქართლოს ძელური
საბჭოს წევრი	ზვიადი სუხიტაშვილი
საბჭოს წევრი	გულნარა შოშიტაშვილი
საბჭოს წევრი	გალინა ოქროპირიძე
საბჭოს წევრი	ია დალაქიშვილი
საბჭოს წევრი	მალხაზ სამაშვილი
საბჭოს წევრი	სარქის გევორქიანი
საბჭოს წევრი	ირინა კორშუნოვი

სხდომა დამთავრდა: 18:00 სთ.